პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ორგან ცენტრალური и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 30 სექტემბერი, 1944 წ. № 198 (7151). ფასი 20 კაპ.

მზრალად ხვნა მაღალი მოსავლის საფუძველია

შარშან მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა, რომლებმაც საგაზაფხულო კულტურები მზრალად მოხნულზე დათესეს, კარგი მოსავალი მიიღეს. დადასტურებულია, რომ მზრალად ხვნა მაღალი მოსავლის საფუძველია.

რაში მდგომარეობს მზრალად ხვნის უპირატესობა?

პირველი,—მზრალად ხვნა არის საუკეთესო საშუალება ნიადაგის დასარვლიანების თავიდან ასაცილებლად, და, მაშასადამე, ნაცად აგროტექნიკურ ღონისძიებას წარმოადგენს სარეველა ბალახების მოსასპობად.

მეორე,—მზრალად ხვნა არის საუკეთესო საშუალება ნიადაგში სინესტის შესანარჩუნებლად, და, მაშასადამე, ჰქმნის ხელსაყრელ პირობას მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

მესამე,—მზრალად ხვნა არის კარგი საშუალება საგაზაფხულო თესვის უმოკლეს ვადებში ჩასატარებლად. რაც უფრო მეტი იქნება მზრალად მოხნული, მით უფრო მეტი რაოდენობით განთავისუფლდება ტრაქტორები და მუშა-საქონელი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის.

მზრალად ხვნას უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანა ის არის, რომ უზრუნველჰყონ მზრალად ხვნის 1944 წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულება.

სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებას ყველგან სათანადოდ არ აფასებენ. ამის შედეგია, რომ 25 სექტემბრისათვის მზრალად ხვნის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 28,5 პროცენტით. ხვნის ტემპები დაბალია გასულ წელთან შედარებით. მაგალითად, წელს 25 სექტემბრისათვის ნიადაგი მზრალად მოხნული იყო 6.109 ჰექტარით ნაკლები, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. თიანეთის, თელავის, ყარაიის, ბოლნისის, საგარეჯოს და ბაშკიჩეთის რაიონებში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ ეს სამუშაო. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მზრალად ხვნა დუშეთის, სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, კასპის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, თბილისისა და მცხეთის რაიონებში.

რა არის საჭირო მზრალად ხვნის დაწესებულ ვადებში შესრულებისათვის?

ჯერ ერთი, საჭიროა მტს-ებში გამოჰყონ ტრაქტორების, ხოლო კოლმეურნეობებში მუშა-საქონლის განსაზღვრული რაოდენობა და დაიწესონ ხვნის ხუთდღიური დავალება.

შემდეგ საჭიროა ეს დავალება გააცნონ როგორც მემინდვრეობის, ისე სატრაქტორო ბრიგადირებს და უზრუნველჰყონ მათი შესრულება. მზრალად ხვნაზე გამოყენებულ უნდა იქნას ყველაფერი, უკანასკნელ წინასახნისამდეც კი.

არის შემთხვევები, როდესაც ცალკეულ კოლმეურნეობებში ნიადაგს ზერელედ ხნავენ, სტოვებენ ხარვეზებს. ცხადია, რომ ასეთ მოხნულზე დათესილი საგაზაფხულო კულტურები უხვ მოსავალს ვერ მოგვცემენ. მთავარია ნიადაგი მოვხნათ ღრმად და მის გაყინვამდე. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, რაიმიწგანებმა მუდმივი მეთვალყურეობა უნდა დაიწესონ ხვნის ხარისხზე და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან აგროტექნიკის გამარტივება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ მოთხოვნის შესრულებას, რომ 1944 წლიდან დაწყებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ დაინერგოს აკადემიკოს ვ. რ. ვილიამსის მიერ რეკომენდებული სისტემა მზრალად დამუშავებისა ნაწვერალის წინასწარი აოშვით. მტს-ებისა და რაიმიწგანებ'ს აგრონომები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ ხვნის წესების დაცვას და ამ მხრივ კოლმეურნეობებს მეტი დახმარება გაუწიონ.

მზრალად ხვნა ემთხვევა სხვა მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, როგორიცაა მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარება და სხვა. უნარიანი ხელმძღვანელობა, ძალების სწორი განაწილება გადასწყვეტს ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულების საკითხს.

მამაცი წითელი არმია დიდი სტალინის გენიალური მხედართმთავრობით ძლევამოსილად მიიწევს წინ, დასავლეთისაკენ. მოახლოებულია გერმანელი ფაშისტი ბარბაროსებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების სასახარულო დღე. საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. მაღლა ფრიალებს დროშა საოქტომბრო შეჯიბრებისა. საჭიროა შეჯიბრება მოეწყოს მზრალად ხვნის გეგმის მოლიანად, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ახალი წარმატებებით შეეხვედით დიად დღესასწაულს—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს.

ოქტომბერი მზრალად ხვნის გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. აუცილებელია დროულად შეასრულოს დავალება ყოველმა კოლმეურნეობამ, მტს-მა. რაიონმა.

მზრალად ხვნის გეგმის შესრულება იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს მივიღოთ კიდევ უფრო მაღალი მოსავალი, იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას მივცეთ კიდევ მეტი პური. მაშ, დავრაზმოთ მთელი ძალები ამ საბრძოლო დავალების სასახელოდ შესრულებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა მიიღო პოლონეთის წარმომადგენლები

29 სექტემბერს ამხანაგმა **ი. ბ. სტალინმა** მიიღო ლიუბლინიდან ჩამოსული კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ-ნი **ბერუტი**, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი **ოსუბკა-მორავსკი**, თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი **ვიტოსი**, გენერალ-პოლკოვნიკი **როლია-ჟიმერსკი**, ბ-ნი **რუიმოვსკი**.

საუბარს დაესწრო ამხ. **მოლოტოვი**.

მოსკოვს ჩამოვიდნენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლები

28 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდნენ კრაიოვა რადა ნაროდოვას თავმჯდომარე ბ-ნი **ბერუტი**, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი **ოსუბკა-მორავსკი**, ბ-ნები **ა. ვიტოსი**, გენერალ-პოლკოვნიკი **როლია-ჟიმერსკი, რუიმოვსკი.**

ჩამოსულთ აეროდრომზე შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვიშინსკი**, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან გენერალ-პოლკოვნიკი **ბულგანინი** და სხვები.

სამშობლოს ჯილდო

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საზეიმო სხდომაზე

Sამამულო ომის დღეებში თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივი ფრონტული თავდადებით მუშაობს და მაღალხარისხოვან ქსოვილებს აწედის სამშობლოს, გმირ წითელ არმიას. ჩვენი ფიეტრები პირნათლად იხდიან თავიანთ პატრიოტულ ვალს სამშობლოს, მშობლიური წითელი არმიის წინაშე. მადლიერი სამშობლო ამ სახელოვან ადამიანებს აჯილდოებს მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“.

გუშინ, 29 სექტემბერს მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საზეიმოდ მორთულ კლუბის დარბაზში თავი მოიყარა ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა. მოვიდნენ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენლები—ამხ. გ. სტურუა, ს. იშხანოვი, გ. გოჩაშვილი, ვ. ლოლაძე, ლ. რუხაძე და სხვ.

დაიწყო საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საფაბრიკო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. გ. ჩარაევმა. შემოვიდა წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. ხანგრძლივი ოვაციებითა და მისასალმებელი შეძახილებით ფაბრიკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს დიდი **სტალინი**, აგრეთვე ამხანაგები **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიკოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, შჩერბაკოვი, ვოზნესენსკი, ჩარკვიანი.**

დარბაზში დიდხანს გაისმოდა შეძახილები:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს ჰიტლერელ აგზაურებზე ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს!

მოწინააღმდეგის ზარალი და ლენინგრადის ფრონტის ჯარების ნაღავლი ა. წ. 17-დან 26 სექტემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, საბჭოთა კავშირის მარშალ **გოგოროვის** სარდლობით, 17-დან 26 სექტემბრამდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსკოვი: 87 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 230 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 260 ნაღმსატყორცნი, 680 ტყვიამფრქვევი, 550 ავტომანქანა, 1.440 რკინიგზის ვაგონი სამხედრო ტვირთიანად, 86 საწყობი საომარ მასალიანად და საწვავიანად.

მოწინააღმდეგემ 30.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

ამავე ხნის განმავლობაში **ლენინგრადის** ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 35 თვითმფრინავი, 88 ტანკი, 363 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 495 ნაღმსატყორცნი, 938 ტყვიამფრქვევი, 20.000-მდე შაშხანა და ავტომატი, 981 ავტომანქანა, 49 ხომალდი და კატერი, 57 საწევარი, 29 რკინიგზის ეშელონი სამხედრო ქონებიანად და სურსათიანად, 2.239 რკინიგზის ვაგონი, 98 ორთქლმავალი, 165 საწყობი საომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ტყვედ წამოუყვანილია 15.745 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ლენინგრადის ფრონტის ჯარების შეტევითი ოპერაციის შედეგად, რაც დამთავრდა საბჭოთა ესტონეთის მთელი ტერიტორიის (გარდა ეზელისა და დაგოს კუნძულებისა) განთავისუფლებით, მოწინააღმდეგის ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარ სახეთა და ცოცხალი ძალის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 45.745 კაცს, 35 თვითმფრინავს, 175 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 593 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 755 ნაღმსატყორცნს, 1.618 ტყვიამფრქვევს, 1.531 ავტომანქანას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

29 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

29 სექტემბრის განმავლობაში **რიგის** მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ეიკაჟი, სპიჩი, კარტუჟი, პანტარი.**

ტურკის (დროგობიჩის ოლქის ქალაქი) სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ მთა-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ვისოკაკო ვიენე, კრასნე, მოხნატე, ოკავა, კოზევა, გოლოვეცკო, ლიბოხორა, სლავსკო, ლიუდვიეუვკა, ვიშკუნი** და რკინიგზის სადგურები **გრაბენუნი, ზელმიანკა, როჟანკა.**

დელიატინის (სტანისლავის ოლქის ქალაქი) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და საინჟინრო ღობურებს მთა-ტყიან ადგილას და ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ოსმოლოდა, ბურსუჩნა, ზელენა, კოლიანიცა, ვოროხტა, არჯელიუშა** და რკინიგზის სადგურები **ბურსუჩნა, ზელენა, ვოროლენკა, ვოროხტა.**

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, გასტეხეს რა მტრის წინააღმდეგობა, დაიკავეს ქალაქი **ტირგუ-მურეში**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ერნუტენი, კეტელე, ხაბიკი, კერტეფაია, იარადე-მურეში, ნად-ერნიე, ტოროფალვა** და რკინიგზის სადგურები **კურტიფაია, ბირნეფტი, ტინოიზა, ერნიუ-მარე, მურეული, ნიარადტე.** ჩვენმა შემტევმა ნაწილებმა გადალახეს მდინარე **მურეშული** და მის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს პლაცდარმები და დასახლებული პუნქტები **აპალინა, ვაიდა-სენტ-ივანი, კინარი, კურტენი, რემეტეში.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილმდებარეობა მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

28 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 21 თვითმფრინავი.

* *

*

რიგის მიმართულებით ჩვენი ჯარები, მიადგნენ რა მოწინააღმდეგის მძლავრ თავდაცვითს ზღუდეს, რომელიც რიგის მისადგომებს იფარავს, ბრძოლებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. როგორც დაზვერვამ გამოარკვია, გერმანელთა თავდაცვის ზოლი შესდგება სრული პროფილის სანგართა რამდენიმე ხაზისაგან, რომლებსაც იფარავს ნაღმიანი ველები და მავთულღობურები. ჰიტლერელები არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენენ თავიანთი პოზიციების ყველა მისადგომს. რიგის ყურის სანაპიროსთან მოქმედი 6 შენაერთის ნაწილები შეიჭრნენ სანგრების პირველ ხაზში და გერმანელებისაგან გასწმენდეს იგი. ბრძოლას ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა წითელარმიელმა სიჩეგოვმა. იგი ხელის ტყვიამფრქვევიანად მიხოხდა გერმანელთა ქვემეხთან და მიბრჯნივ სროლით გასწყვიტა ქვემეხის გუნდი. სხვა უბანზე ლეიტენანტი ბიგოდსკი თვითმავალ ქვემეხზე დამსხდარ მებრძოლთა ჯგუფიანად შეიჭრა გერმანელთა საარტილერიო ბატარიის განლაგებაში. ჩვენმა მებრძოლებმა ამოსწყვიტეს მტრის არტილერისტები, ხელთ იგდეს ქვემეხები და დაუშინეს ისინი მოწინააღმდეგეს.

ფსკოვ-რიგის გზატკეცილის რაიონში ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. სწრაფი იერიშის შედეგად ჰიტლერელები განდევნილი არიან დასაყრდენ პუნქტ ეიკაჟიდან, რომელიც 8 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ სიგულდის ჩრდილოეთით. ამ უბანზე წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია ერთ ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი და საომარი მასალის საწყობი.

ლუბლიანობისა და ნისლის მიუხედავად, ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებს. დამსტრეფელია 90 ავტომანქანა, მოსპობილია 8 საარტილერიო ბატარია, 2 ორთქლმავალი, 15 რკინიგზის ვაგონი და აფეთქებულია 5 საწყობი საომარ მასალიანად. საჰაერო ბრძოლებში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 16 თვითმფრინავი.

* * *

ტურკის (დროგობიჩის ოლქის ქალაქი) სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე მთის კალთებზე გამაგრდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. 6 შენაერთის ნაწილებმა შემოვლითი მანევრის შედეგად მოშალეს გერმანელთა თავდაცვა, განავითარეს წარმატება და წინ წაიწიეს 20-მდე კილომეტრით. მოწინააღმდეგე განდევნილია თავდაცვის ძლიერ გამაგრებულ კვანძ ვისოკაკო-ვიენე და კოზევიდან. გააფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრი სოფელი სლავსკო. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ 250 გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დელიატინის (სტანისლავის ოლქის ქალაქი) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, გაანადგურეს გერმანელთა დასაყრდენი პუნქტების რამდენიმე გარნიზონი, შეუპოვარი ბრძოლები მოხდა მტრის თავდაცვის მძლავრ კვანძ ვოროხტისათვის. 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს ეს პუნქტი და მოიგერიეს მოწინააღმდეგის 8 კონტრიერიში. გერმანელთა ყველა ცდა—აღედგინათ მდგომარეობა—მარცხით დამთავრდა. დასახლებულ პუნქტ და რკინიგზის სადგურ ვოროხტის მისადგომებზე დარჩა მტრის 400-ზე მეტი გვამი. ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე პრუტი და დაიკავეს რკინიგზის სადგური ვორონენკა, რომელიც ერთ კილომეტრზე მდებარეობს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრიდან. ამ უკანასკნელ ბრძოლებში საბჭოთა ნაწილებმა მძიმე ზარალი მიაყენეს გერმანიის ქვეითსა და უნგრეთის სამთო-მსროლელ დივიზიებს. წამოყენილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მოწინააღმდეგეს წაართვეთ 34 ქვემეხი, 200-მდე ტყვიამფრქვევი, 9 საწყობი საომარ მასალიანად, საინჟინრო ქონებიანად და სურსათიანად.

* * *

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში გერმანელები და უნგრელები განუწყვეტელ კონტრიერიშებს აწარმოებდნენ, ცდილობდნენ უკუეგდოთ საბჭოთა ნაწილები, რომლებიც გადიდნენ ქალაქ ტირგუ-მურეშის ახლო მისადგომებზე. ჩვენმა ჯარებმა მოქანცეს მტერი, შეიჭრნენ ქალაქში და ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს იგი. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს აგრეთვე მდინარე მურეშულს მარცხენა ნაპირზე მდებარე მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ჩვენმა მებრძოლებმა მტერს არ მისცეს მოწესრიგებისა და თავდაცვის მოწყობის საშუალება და გადალახეს მდინარე. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია 800 ტყვე. სხვა უბანზე ტყვედ დაგვნებდა უნგრელთა მე-11 ქვეითი პოლკის ბატალიონი, რომელიც გარშემორტყმული იყო საბჭოთა მებრძოლების მიერ. უნგრელი ოფიცრები ცდილობდნენ წინააღმდეგობა მოეწყოთ, მაგრამ ისინი მათმავე ჯარისკაცებმა ამოსწყვიტეს. უნგრელმა ჯარისკაცებმა იარაღი დაჰყარეს და თეთრი ალამი ამართეს.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ოლოტის ავიაციამ რიგის ყურის სამხრეთ ნაწილში ჩასძირა გერმანელთა 5 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს წარმომადგენელთა ერთობლივი კომუნიკე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 21 აგვისტოდან დუმბარტონ-ოქსში (ვაშინგტონი) სწარმოებდა წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება მშვიდობიანობისა და უშიშროების დასამყარებლად საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების ძირითად საკითხებზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ელჩის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია სახელმწიფო მდივნის მოადგილის ბ-ნ სტეტინიუსის მეთაურობით და დიდი ბრიტანეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ-ნ კადოგანის მეთაურობით.

სამი დელეგაციის თავმჯდომარეებმა დღეს შემდეგი კომუნიკე გამოაქვეყნეს: „ვაშინგტონში უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხზე საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების და შეერთებული სამეფოს დელეგაციებს შორის შემდგარი მოლაპარაკება დამთავრდა.

მოლაპარაკება სასარგებლო იყო, ბევრწილად მიღწეულ იქნა შეთანხმება ორგანიზაციის საერთო გეგმის საკითხზე რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ, მშვიდობიანობისა და უშიშროების დასამყარებლად საჭირო მექანიზმის შესახებ.

სამი დელეგაცია **მოხსენებებს** უგზავნის თავიანთ **შესაბამის** მთავრობებს, რომლებიც განიხილავენ ამ მოხსენებებს და **შესაფერ** მომენტში ერთასა და იმავე დროს გააკეთებენ განცხადებებს **ამ საკითხზე“.**

სანიმუშო მდგომარეობაში მოვიყვანოთ ქალაქის ტრანსპორტი

მშრომელთა ყოფაცხოვრებითი საჭიროების მომსახურებაში წვრილმანი რამ არ არაფრობს. ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველაფრისადმი უნდა ვიზრუნოთ—სახლის შეკეთებისთვისაც, იმისთვისაც, რომ შეუფერხებლად მოქმედებდეს აბანო, სამრეცხაო, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის სარემონტო სახელოსნოები, უნდა ვიზრუნოთ ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობისთვისაც. დიდი სამრეწველო ცენტრების მეურნეობაში სეროზული ადგილი უკავია ქალაქის ტრანსპორტს. ასეთასობით მშრომელი ყოველდღე სარგებლობს ტრამვაით. იგი მათთვის მიმოსვლის ძირითადი საშუალებაა. ამიტომ ქალაქის ტრანსპორტი საათის მექანიზმის სიზუსტით უნდა მუშაობდეს! ეს კანონი უნდა იყოს ქალაქის ორგანიზაციებისათვის, კომუნალური მეურნეობის მუშაკთათვის.

მაგრამ ქალაქის ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს როდი შეუძლიათ ამჟამად სთქვან: „ჩვენთან ტრამვაი კარგად მუშაობსო“. მეტ წილ ქალაქებში ტრამვაის მიმოსვლა არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი.

ცუდი სახელი გაითქვა ტრამვაიმ გორკში. ვაგონები ხაზებზე ცოტაა, დადიან დიდი დაგვიანებით, ადამიანები საათობით იცდიან გაჩერებებზე. მაგრამ გაჰედილ ვაგონში ჩამჯდარი მგზავრიც დარწმუნებული არ არის, რომ მშვიდობით მიაღწევს თავის ადგილს: ზოგჯერ ტრამვაის მიმოსვლა რამდენიმე საათით სწყდება. ძალიან ხშირად შეიძლება დავინახოთ, რომ მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის, „კრასნოე სორმოვოს“, ქარხანა „კრასნაია ეტნის“ ასობით მუშა შრომითი დღის შემდეგ ქვეითად მიდის შინ, რაკი ტრამვაის ვერ ეღირსა. ტრამვაის მიმოსვლის ცუდი ორგანიზაცია ხიანს აყენებს წარმოებას.

აი რასა სწერენ „პრავდას“ მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მუშაკები ამხ. ლიახოვი და ჩერნოვი: „ტრამვაის ცუდი მუშაობა განსაკუთრებით სჩანს კანავინო-ავტოქარხნისა და ავტოქარხანა—გნილიცის ხაზებზე. მძიმეა მდგომარეობა მუშათა დაბებში მცხოვრები მუშებისა, რომელთთვისაც ტრამვაის ერთადერთი სახის ტრანსპორტია. ტრამვაის პარკი ამ ორ მარშრუტზე ერთიოროად აკლებ ვაგონებს უშვებს, ვიდრე საჭიროა. მაგალითად, 23 აგვისტოს ავტოქარხანა—გნილიცის ხაზზე დილით ხუთი მატარებლის ბაგიეი სში დადიოდა. ამის გამო. ასობით მუშამ 20 წუთით დაიგვიანა სამუშაოზე. არის ისეთი პერიოდებიც, როცა ვაგონების მიმოსვლა სულ სწყდება“.

რაც გორკში ტრამვაი ცუდად მუშაობს, პირველი თვე და პირველი წელი როდია. მაგრამ ქალაქის ორგანიზაციები ნახევრულ ზომებს სჯერდებიან და დღემდე სერიოზულად არ მოუკიდნიათ ხელი ქალაქის ტრანსპორტის გაუმჯობესებისათვის.

ქალაქის საბჭოში გატაცებული არიან ქალაქის სხვაგვარი კეთილმოწყობით. წელს დაიწყეს მშენებლობა კიბისა, რომელიც ბიდის ფერდობით—ჩკალოვის ქუჩიდან ვოლგამდე. რა თქმა უნდა, კიბის აგება კარგი საქმეა. მაგრამ ქალაქეს საბჭოს მუშაკებს რატომ ასეთივე მისწრაფება და ენერგია არ ეტყობათ ტრამვაის მიმოსვლის მოკვარებისას?! რატომ არ აგებენ ტრამვაის დეპოს, საერთო საცხოვრებელს ტრამვაელთათვის, თუმცა სახელმწიფომ დიდი სახსრები გადასდო ამ მიზნისათვის.

სამწუხაროდ, არა მარტო გორკში, არაერთ ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქშიც ადგილობრივ ორგანიზაციებს ემჩნევათ ტენდენცია დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ქალაქის ქუჩების გარეგანი მორთულობით, ფასადების შეიღებვით, მაგრამ არ ჩანს მისწრაფება ქალაქის საფუძვლიანი, ნამდვილი კეთილმოწყობისადმი. არა მარტო ცენტრალური ქუჩების, არამედ მთელი საოლქო ცენტრის საუკეთესო სამკაული იქნება ჩინებულად მოქმედი ტრამვაი, როცა ვარგისი, სუფთა, მინაჩასმული ვაგონები ზუსტად გრაფიკის მიხედვით ივლიან ხაზებზე. მაგრამ ეს ჯერჯერობით არ არის არც ჩელაბინსკში, არც სვერდლოვსკში, უფაში, კუიბიშევში, ომსკში და მრავალ სხვა საოლქო ცენტრში.

მაგალითად, ტულაში ხაზზე არის საათობის ერთიოროად ნაკლები ვაგონი, ბიერე ბიგმენი არის საჭირო. ეუდად ბრალ მოწყობილი მათი რემონტი. ლაანდაგის რემონტის გეგმა არ შესრულებულა.

ომიანობის დროს ტრამვაელთა მუშაობა გართულდა. ზურგის სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა გაიზარდა, ფაბრიკა-ქარხნებში უნდა მიყვანილ იქნას გაცილებით მეტი მუშა, ვიდრე წინათ, ხოლო ცვლის დამთავრების შემდეგ ისინი შინ უნდა წავიყვანონ. აქედან დასკვნა, ერთია — საჭიროა რაც შეიძლება უკეთ გამოვიყენოთ ვაგონების არსებული პარკი, მოვაგვაროთ კარგი მოვლა ლაანდაგებისა, მოვაწყოთ მიმოსვლა ზუსტად გრაფიკის მიხედვით. ყოველ ქალაქში, სადაც ტრამვაი არის, მოიპოვება სამრეწველო საწარმოები, რომლებსაც წარმატებით, ძირითადი პროგრამისათვის ზიანის მიუყენებლად შეეძლიათ დახმარება გაუწიონ კომუნალურ მეურნეობას, პირველ რიგში ტრამვაის. დაგმობის ღირსია სამეურნეო მუშაკი, რომელიც გაურბის ტრამვაისათვის დახმარების გაწევას.

„პრავდაში“ გუშინ გამოქვეყნდა წერილი „ხარკოვის ტრამვაის შესახებ“. ამ წერილში ნაამბობია, რომ ქალაქის ტრანსპორტელთა მეტად მცირე თხოვნასაც თანაგრძნობით არ ეკიდებიან ქარხნებში, უარს ამბობენ მის შესრულებაზე. ხოლო რეგისტრაციისთვის საჭირო დეტალების უქონლობის გამო გაცვეთილი ვაგონები საბოლოოდ გამოდიან მწყობრიდან. მაგრამ განა მარტო ხარკოვში არიან ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც გულგრილად უყურებენ ტრამვაელთა სიძნელეებს? ივანოვოში საწარმოებს ტრამვაისათვის უნდა გაემზადებინათ 750 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები, ოთხი თვის განმავლობაში მათგან მიღებულია მხოლოდ 130 ათასი მანეთის დეტალები. დავალება მარტო ქარხანა „ტორგმაშმა“ შეასრულა კეთილსინდისიერად.

საქმე ეხება იმას, რომ ქარხნების ხელმძღვანელებმა ხელი შეუწყონ გაცვეთილი ვაგონების აღდგენას, გულმოდგინეთ მოეკიდონ ამ საქმეს.

მაგრამ თვითონ ტრამვაის მუშაკებიც სრულიადაც არ არიან სხვისი სარჩენი. ნამდვილად კეთილსწორად სარჩენივით იქცევა ქალაქის ტრანსპორტის ბევრი ხელმძღვანელი. ისინი უპირატესად იმას აკეთებენ, რომ დაფარულებლივ მოითხოვენ სათადარიგო ნაწილებს, მასალებს, მუშახელს, თავიანთი მოვალეობა კი მხოლოდ ის ჰგონიათ, რომ ავად თუ კარგად გამოიყენონ მათთვის გაწეული დახმარება. ტრამვაის მეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი ძალიან ცოტა მისწრაფებას იჩენს იმისადმი, რომ საკუთარი ძალითა და საშუალებით გააუმჯობესოს ტრანსპორტი. სრულიადაც არ არის საჭირო გარეგან დახმარება იმისათვის, რომ ვაგონები სუფთად ვიქონიოთ, რომ ვაგონების კარები იკეტებოდეს, რომ იქ დამტვრეული სკამები არ იყოს. თვით ტრამვაელთა გარდა, განა ვინმე მოაშბადებს ვატმანების, კონდუქტორების, ზეინკლების კადრებს, რომლებიც ბევრგან აკლიათ?.

ქალაქის ტრანსპორტი სანიმუშო მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ. აღარ შეიძლება მოვითმინოთ რაიმე შეფერხება მის მუშაობაში. უნდა შევიგნოთ, რომ ტრამვაი ფუფუნება კი არა, არამედ უაღრესად აუცილებელი რამ ჯრის.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, ქალაქის საბჭოები მოვალენი არიან უფრო ღრმად და უფრო სერიოზულად მოეკიდონ ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას. ეს განსაკუთრებით ამჟამად არის საჭირო, როცა ზამთარი კარს მოგვდგომია. საქმის არსი, რა თქმა უნდა, ტრამვაის შესახებ და მშრომელთა სხვა სახის მომსახურების შესახებ ქალაქის ორგანიზაციების გადაწყვეტილება-დადგენილებანი როდია, არამედ ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება ენერგიულად, ბოლშევიკებისათვის ჩვეული

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური

ინიციატივიანი მობინადრეები

მოსაზღვრე სახლისგან გამომყოფი კედლის აგება, ფარდულისა და კიბის შეკეთება, სახლის სახურავისა და კედლების რემონტი, ეზოსა და სხვა საერთო სარგებლობის ადგილების წესრიგზე მოყვანა და დასუფთავება — აი რა სამუშაოები ჰქონდათ გათვალისწინებული გრიბოედოვის ქუჩაზე № 21 სახლის მცხოვრებლებს ორთვიურთან დაკავშირებით შედგენილ გეგმაში.

27 სექტემბერს სახლის მობინადრეებმა კვირაობა მოაწყეს. დილის 6 საათზე შეუდგნენ ოსინი მუშაობას. ს. ქებაძემ და ინჟინერმა ი. ჩხენკელმა კედელი ამოიყვანეს და მას დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ხის მესერი გაუკეთეს. მობინადრეებმა ამისათვის გამოიყენეს სარემონტო კანტორის მიერ ამ ეზოში დატოვებული სამშენებლო მასალათა ნარჩენი, რომელიც უვარგისად იყო ცნობილი და რომლის გაზიდვა ცოტა შრომას როდი მოითხოვდა. სხვებმა შეაკეთეს კიბე, გაამაგრეს მისი საფეხურები, გასწორეს სახელური, შეაკეთეს ფარდულის შიგნითა კედლები. წყალსადენი მილის, სარდაფისა და საპირფარეშოს ირგვლივ ცემენტით ამოლესეს ოღროჩოღრო ადგილები. ქალებმა გასწმინდეს და გაასუფთავეს სარდაფები, ეზო, სახლის სახურავი, საერთო სარგებლობის შუშაბანდები, ჩამორეცხეს სახლის კედლები და კიბეები.

კვირაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სახლის რწმუნებული ო. ხიტირია, მობინადრეები: ს. და მ. ქებაძეები, ი. ჩხენკელი, ე. შვიდობაძე, მ. კახელიძე, ე. გელიუსი, ნ. მირზოიანი, ლ. და ი. საფარიანები. მოსწავლეებმა ლამარა და მერი ხიტირიებმა, ნანა შვიდობაძემ და კიმი კახელიძემ მშობლებთან ერთად ენერგიულად იმუშავეს.

მთელი მასალა, რომელიც სახლის მიმდინარე რემონტს დასჭირდა, ადგილზე გამოინახა და მობინადრეებმა შეაგროვეს.

გრიბოედოვის ქუჩაზე № 23 სახლის ეზოში წვიმის დროს გუბე დგებოდა. წყალსადენი მილები დაზიანებული იყო. საერთო სარგებლობის სარდაფში წყალი ჩადიოდა, ვინაიდან სახურავი გაფუჭებული ჰქონდა. ამ სახლის მობინადრეებმა 17 სექტემბერს მოწყობილი კვირაობის დროს შეაკეთეს წყალსადენი მილები, სარდაფის სახურავი, შედებეს და ეზეკეთეს რკინის ალაყაფის კარი, სახლის კიბე, სახანძრო ნივთების შესანახი საკუჭნაო, საბაგვე ყუთი, ეზოში გააკეთეს საჯდომი სკამები. სახლის ოთხივე სართულში გასწმინდეს და გაასუფთავეს საერთო სარგებლობის ადგილები. ზეთის საღებავი, ლურსმანი და ფანერი მობინადრე ს. ლექვთაძემ გაიღო უფასოდ, ორი მეტრი თუნუქის მილი და მავთული—ე. საფარიანმა, ხის მასალა—ი. კოპალეიმ.

დიდი მუშაობა გასწიეს ლენინარსკის ქუჩაზე № 8 სახლის მობინადრეებმა. აქ სერიოზულ რემონტს ოთხზოდა აივნის იატაკი და ბრიელი, კიბე, სახლისა და წყალსაზომის სახურავები. მობინადრეებმა ყველა ეს სამუშაო შეასრულეს. ამასთან ეზოში გააკეთეს წყალსადენის ონკანი და მოაწყეს აუზი.

ძნელაძის ქუჩაზე № 41 სახლის მობინადრე ხელოსნებმა — სამამულო ომის ინვალიდმა შ. ჯალადინამ, ა. მარტიროსოვმა და შ. მიხაილოვმა მესამე სართულში საერთო სამზარეულოს 4 კვადრატული მეტრი იატაკი გაუკეთეს, წითელარმიელის დედას ნ. ჯაფარიძეს სამზარეულოში ერთი მეტრი სიმაღლის კედელი ამოუშენეს, შეაკეთეს საერთო სამრეცხაო, მესამე სართულის აივანი, წყალსაზომის სახურავი და სხვ.

24 სექტემბრისათვის ბერიას რაიონში მობინადრეთა აქტიური მონაწილეობით 86 საცხოვრებელ სახლს გაუკეთდა მიმდინარე რემონტი. ამ სამუშაოებში ათასზე მეტმა მობინადრემ მიიღო შრომითი მონაწილეობა. ამჟამად რაიონში 19 საცხოვრებელი შენობის რემონტი მიმდინარეობს.

მ. კალანდაძე

ზემპლები ნელია

იქ, სადაც მობინადრეები და რაიონული საბჭოდან მიმაგრებული ამხანაგები აქტივობას აჩენენ, საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ორთვიური წარმატებით მიმდინარეობს. მაგალითად, პლეხანოვის პროსპექტზე № 117 სახლის მობინადრეებმა შეაკეთეს სახლის სახურავი, წყლის რამდენიმე ონკანი, ელექტროგაყვანილობა, დაასუფთავეს და წესრიგზე მოიყვანეს ეზო. ამ სახლში თავი ისახელეს მობინადრეებმა შტეინბერგმა, ალოიანმა, ავაქოვმა, ფოსტაკიმ და სხვებმა. მობინადრეებმა შეაგროვეს საჭირო სამშენებლო მასალა: ცემენტი, თუნუქი და სხვ.

ორჯონიკიძის ქუჩაზე № 40-ბ სახლის მობინადრეებმა ეზოში გაშენებულ ბაღს ღობე შემოავლეს, ააგეს ახალი საპირფარეშო, შეაკეთეს წყლის ონკანი და დაასუფთავეს ეზო.

ასევე კარგად ჩატარდა კვირაობა პლეხანოვის პროსპექტზე № 111, გოგოლის ქუჩაზე № 40 სახლებში.

მაგრამ სტალინის რაიონში საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და კეთილმოწყობის ორთვიური ისევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონში შესაკეთებლად აღრიცხული 700 სახლიდან დღემდე მხოლოდ 90 სახლი შეაკეთეს.

აღებული ტემპები ვერ უზრუნველყოფენ ორთვიურის გეგმით ნავარაუდევ სამუშაოთა დამთავრებას. ეს უნდა გაითვალისწინონ რაიონის საბჭომ, მისმა საბინაო სამმართველომ და სახლმმართველებმა.

შ. კაციტაძე

160 სახლიდან მხოლოდ 35 შეაკეთეს

მეტეხის შესახვევი № 4 სახლის სახურავი, კედლები, კანალიზაციის ქსელი დაზიანებული იყო. სახლს სასწრაფო შეკეთება ესაჭიროებოდა. მობინადრეებს ამ სამუშაოსთვის ხელის მოკიდება ვერ გაებედათ.

როცა აქ 26 კომისრის რაიონული საბჭოს მიერ დასახმარებლად მიმაგრებულმა ამხანაგებმა მობინადრეთა კრება მოიწვიეს და გააცნეს, თუ რის გაკეთება შეუძლიათ მათ, მაშინ მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს შესდგომოდნენ საქმეს. ზოგი მასალა ადგილზეე გამონახეს, ზოგითაც სარემონტო კანტორა დაეხმარა. შრომა გაიწიელეს და კარგ შედეგსაც მიაღწიეს.

პირველ რიგში შენობის სახურავი შეაკეთეს, შემდეგ წესრიგზე მოიყვანეს საკანალიზაციო გაყვანილობა. გარდა ამისა, დაშალეს ძველი ავარიული ქვიტკირის კედელი და მის ნაცვლად ახალი კედელი აიშენეს.

შუმიანის ქ. № 10 სახლის მობინადრეებმა ერთ დღეს შეაკეთეს წყალსაწრეტი მილები, იატაკი, კიბეები, წყალსაზომის ჭა. დაასუფთავეს და წესრიგზე მოიყვანეს ეზო.

ოვინის აღმართი № 7 სახლში მობინადრეებმა სარემონტო კანტორის ხელოსნებთან ერთად 12 დღის განმავლობაში 21.000 მანეთის სამუშაოები შეასრულეს. მან აღადგინეს სახლის სახურავი, შეაკეთეს საძირკველი, კიბეები და სხვა. მუშაობა გრძელდება.

ასეთი მიღწევები აქვთ ყველგან, სადაც, კარგად გამოიყენეს ადგილობრივი შესაძლებლობანი, სადაც საცხოვრებელი სახლებისა და კეთილმოწყობის ორთვიურს კარგად ხელმძღვანელობენ რაიონული საბჭოები.

26 კომისრის რაიონში შესაკეთებლად აღრიცხული 160 სახლიდან ორთვიურის პირველი სამი კვირის განმავლობაში მხოლოდ 35 სახლი შეაკეთეს. ცხადია, მუშაობის ასეთი ტემპი ვერ უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლების შეკეთებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის.

გ. ხეგბავა

ასეთია კოლექტივის ძალა

საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური გაცხოველებით მიმდინარეობს ლენინის რაიონში. აქ 17 და 18 სექტემბრის მოწყობილ მასობრივ კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 2.000 მობინადრემ.

17 სექტემბერს გასუფთავებულ და წესრიგზე მოყვანილ იქნა მრავალი ათეული სახლი, მათი სარდაფები და ეზოები.

დიდი წარმატებით ჩატარდა კვირაობა საბჭოს ქუჩაზე № 147 სახლში. აქ მობინადრეებმა შეაკეთეს სახლის სახურავი, კიბე, კანალიზაციის ქსელი, დაასუფთავეს და წესრიგზე მოიყვანეს ეზო. ამავე ქუჩაზე № 123 სახლი ავარიული იყო. მისი შეკეთება მარტო მობინადრეთა ძალებით არ შეიძლებოდა. ლენინის რაიონული საბჭოს საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორამ და მობინადრეებმა შეერთებული ძალით დაიწყეს სახლის აღდგენა. რემონტი წარმატებით მიმდინარეობს. ამ სახლის სახურავი მობინადრე რიბკინმა შეაკეთა, სხვებმა კიბე და სანაგვე ყუთი შეაკეთეს, ეზო დაასუფთავეს, სახლის კაპტალური რემონტი ამ დღეებში დამთავრდება.

ლენინის რაიონში გამოვლინებულია 75 სახლი, რომელიც მიმდინარე შეკეთებას მოითხოვს. 27 სექტემბრისთვის შეკეთებული იყო 27 სახლი, დანარჩენი 48 სახლის შეკეთება მიმდინარეობს.

კ. დოლიძე

ჯუნგოს აკლია გამრჯე ხელი

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტუნგოს პლანტაციას 1.830 ჰექტარი უკავია. სოფელ ასკანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე თალაკვაძე) ტუნგოს პლანტაცია წელს სამჯერ უნდა გაეთოხნა, მაგრამ პირველი თოხნის გეგმაც არ შეუსრულებია. პლანტაციის ნაწილი ეკალბარდით არის დაფარული. ტუნგოს პლანტაციას მზრუნველი ხელი აკლია სოფელ ჭანეეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე მექვაბიშვილი). ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის, ზვანის ორჯონიკიძის სახელობის, სიღნაღის ჩარკვიანის სახელობის, ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებსა და წვერმაღალისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

მალე დაიწყება ტუნგოს ნაყოფის აღება. რაიონში წელს ტუნგოს უკეთესი მოსავალია, ვიდრე შარშან. ამავე დროს მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. მოუწყობელია ნაყოფის მიმღები პუნქტები და შესანახი ფარდულები.

ლ. ლოლაძე

მოღის შაქრის ჭარხალი

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). დაიწყო შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის აღება. ჭარხლის ამოღება ორგანიზებულად მიმდინარეობს კოლმეურნეობა „განთიადში“ (თავმჯდომარე ივ. ჯანეზაშვილი), რომელმაც მიმღებ პუნქტს უკვე ჩაბარა საუკეთესო ხარისხის 25 ტონა შაქრის ჭარხალი. კოლმეურნეობამ წელს აგარის შაქრის ქარხანას გეგმით უნდა ჩაბაროს 6.600 ცენტნერი ჭარხალი, ფაქტიურად კი ნავარაუდევია მიიღონ 9.000 ცენტნერი. არის ისეთი ნაკვეთები, რომლიდანაც ჰექტარზე 400-500 ცენტნერი ჭარხალი მოვა.

ჭარხლის ამოღებაზე სამაგალითოდ მუშაობენ პირველი და მეორე ბრიგადის წევრები (ბრიგადირები ა. ალიხანაშვილი და ვ. კოჩუაშვილი). კოლმეურნეები მ. ალიხანაშვილი, თ. ტერტერაშვილი, ა. გაგნიძე, ლ. შიოშვილი, კ. კოჩუაშვილი, ო. შიოშვილი ენერგიულად მუშაობენ ჭარხლის გარჩევაზე. მესამე ბრიგადა ეჯიბრება მეოთხე ბრიგადას ჭარხლის უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ ამოღებისათვის.

ხელოვნების კოლმეურნეობა ჭარხალს ოქტომბერში 25 ჰექტარზე ამოიღებს, ნოემბერში კი—4 ჰექტარზე. ჭარხლის გადაზიდვაზე ყოველდღიურად მუშაობს 1 ავტომანქანა, 12 ურემი, 6 საზიდარი.

ჭარხლის ამოღებას შეუდგნენ აგრეთვე სოფელ ჯარიაშვილის, ქვემო ახალსოფლის, გუგუტიანთკარის კოლმეურნეობები. პირველ დღეს, 25 სექტემბერს, დამამზადებელმა პუნქტმა მიიღო 145 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

შ. ჩუბინიძე

მოწინავე მგს-ი

გორჩალო („კომუნისტის“ საკ. კორ.). მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი კ. კურბანოღლი) დავალება შეასრულა 200,2 პროცენტით, მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი მამედ ალიევი) —127 პროცენტით. ამასთანავე მათ დაზოგეს შესაბამისად 5.803 და 4.764 კილოგრამი საწვავი.

საოქტომბრო შეჯიბრების გაშლის შედეგად მტს-მა (დირექტორი პ. სარქისოვი) სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა. მტს-მა საქართველოს სსრ მიწსახკომისა და მტს-ების კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

პ. სტეფანიშვილი

მიმართვა გერმანელი გენერლებისა და პოლკოვნიკებისა

თარგმანი გერმანულიდან

გერმანელ ხალხს არმიასა და სამშობლოში

ჩვენ, არმიების ყოფილ ჯგუფ „სამხრეთ უკრაინის“ შენაერთების გენერლებსა და მეთაურებს, რომლებმაც მოვიხადეთ მეომრული ვალი ჩვენი ჯარისკაცებისა და გერმანელი ხალხის წინაშე, ტყვეობაში მყოფთ, ამჟამად შესაძლებლობა მოგვეცა თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი გერმანიის ახლანდელი ეიმეღო სამხედრო მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მივმართავთ გერმანელ ხალხს არმიისა და სამშობლოში.

ჩვენ ვართ ის მცირეოდენნი მათი რიცხვიდან, ვინც შემთხვევით დარჩნენ ცოცხლები და მოწმენი გახდნენ გერმანიის არმიის ახალი და უდიდესი დამარცხებისა აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ფლანგზე, რუმინეთში.

არმიების ცენტრალური ჯგუფის განადგურებისა და არმიების ჩრდილოეთის ჯგუფის იზოლაციის შემდეგ, რუსეთის არმიამ აგვისტოს უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში სავსებით გაანადგურა არმიების ჯგუფი „სამხრეთ უკრაინა“ და მოსპო მეექვსე და მერვე არმიები. ამასთან ჩვენ 20 დივიზია დავკარგეთ.

ამ დამარცხების შედეგად პოლიტიკური და სამხედრო ვითარება ბალკანეთში ძირეულად შეიცვალა.

წინანდელი ჩვენი მოკავშირეები — რუმინეთი და ბულგარეთი — ჩვენი მტრები გახდნენ და ახლა ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან.

ჩვენ დავკარგეთ ჩვენი უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები და ჩვენი ფლოტი შავ ზღვაზე, რუმინეთის ნავთის წყაროები და სასურსათო რესურსები.

სამხრეთ-აღმოსავლეთში შეიქმნა ახალი მძლავრი ფრონტი სახელმწიფოებისა, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ.

ამ სახელმწიფოებთან ერთად ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან იუგოსლავიელი ხალხები და სლოვაკიის ხალხი, რომელმაც აჯანყება დაიწყო.

ჩრდილოეთით იარაღი დაჰყარა ფინეთმა.

ჩვენ დავკარგეთ ოკუპირებული საფრანგეთი და ბელგია.

ინგლის-ამერიკის არმიები შეეიღნენ გერმანიის ტერიტორიაზე.

აღმოსავლეთისაკენ ომი გადატანილია გერმანიის ტერიტორიაზე.

გერმანიამ ახლა უკვე სპოლოოდ წააგო ომი, ომის შემდგომი გაგრძელება გერმანელებისათვის უიზრო გახდა და მან გერმანია დაღუპვამდე უნდა მიიყვანოს.

ჩვენ წავიკითხეთ „არმიების ცენტრალური ჯგუფის“ 17 გენერლის 1944 წლის 22 ივლისის მიმართვა გერმანიის შეიარაღებულ ძალთა გენერლებისა და ოფიცრებისადმი.

ჩვენ სწორად ვცნობთ მათს დასკვნებს. ამაში ჩვენ დავრწმუნდით ასევე მძიმე საკუთარი გამოცდილებით.

ჰიტლერის და მის მომხრეთა მოქმედებამ გერმანიის არმია და გერმანია სრულ კატასტროფამდე მიიყვანა.

თუ ჰიტლერი და მისი მომხრენი დაუყოვნებლივ არ იქნებიან გადაყენებულნი, ისინი გერმანიას დაღუპვამდე მიიყვანენ.

გერმანელ ხალხს მშვიდობიანობისაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ ერთი დაბრკოლება უდგას: ჰიტლერი და მისი ხროვა.

გერმანელო ხალხო და არმიაში მყოფო ჩვენო ამხანაგებო, სანამ გვიან არ არის, თქვენ თვითონ გადასწყვიტეთ გერმანიის ბედი!

ნუღარ შეასრულებთ ჰიტლერის და მის მომხრეთა ბრძანებებს!

იარაღის ძალით დაამხეთ ჰიტლერი და მისი რეჟიმი!

დაასრულეთ ომი რაც შეიძლება მალე ხალხის გადარჩენისათვის, გერმანიის გადარჩენისათვის!

ბრძოლის ყველა საშუალება ჰიტლერის წინაღმდეგ!

პოტსელი, გენერალ-ლეიტენანტი, 30-ე საარმიო კორპუსის მეთაური; **ვაინკნეხტი**, გენერალ-ლეიტენანტი, 79-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **ბეგი**, გენერალ-მაიორი, მე-9 ქვეითი დივიზიის მეთაური; **გრაფი გიულზენი**, გენერალ-მაიორი, 370-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **ფონ ბოგენი**, გენერალ-მაიორი, 302-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **შტინგელი**, გენერალ-მაიორი, ქალაქ იასის კომენდანტი; **ფონ ბისინგი**, პოლკოვნიკი, 76-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **გურკაჰარდტი**, გენერალ-ლეიტენანტი, მე-6 არმიის ზურგის უფროსი; **შვარცი**, გენერალ-ლეიტენანტი, 376-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **ფრენკინგი**, გენერალ-მაიორი, 282-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **ტროლიე**, გენერალ-მაიორი, 62-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **ფონ დეიტიცკრებელი**, გენერალ-მაიორი, ქ. კიშინიოვის კომენდანტი; **ბილშერი**, პოლკოვნიკი 258-ე ქვეითი დივიზიის მეთაური; **სიმონი**, პოლკოვნიკი, 15-ე საზენიტო დივიზიის მეთაური; **რინგენბერგი**, პოლკოვნიკი, 106-ე ქვეითი დივიზიის მეთაური.

მიმართვა ჩაიწერე საკუთარი ხელით გენერლებისა და შენაერთთა მეთაურების დავალებით, რომლებმაც მას პირადად მოაწერეს ხელი.

გრაფი ბიულზენი
გენერალ-მაიორი, 370-ე ქვეითი დივიზიის მეთაური.

21.IX—1944 წ.

დეპეშები

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 28 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვა გააკეთა თემთა პალატის დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი. მან განაცხადა, რომ ამ უკანასკნელმა შვიდმა კვირამ სრულიად შესცვალა ევროპაში ომის მსვლელობა. ჩერჩილი შეეხო საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის ნაწილის განთავისუფლებას და განაცხადა, რომ გერმანელებმა 400.000 კაცი დაპკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით და 500.000 — ტყვეთა სახით. შემდეგ მან აღნიშნა, რომ, ალბათ, 200.000 გერმანელი მოწყვეტილია ჰოლანდიის სანაპირო ციხეებში, ამასთან მათი მოსპობა ან ტყვედ ჩაგდება შეიძლება ახლა სავსებით მოსალოდნელი იყოს.

ჩერჩილმა სთქვა, რომ ეს არის ნორმანდიაში გადახდილი საქვეყნოდ ცნობილი ბრძოლის შედეგი.

ჩერჩილმა ილაპარაკა იტალიაში წარმოებული ბრძოლების შესახებ და აღნიშნა „ბრაზილიის შესანიშნავი დივიზია, რომლის ზოგიერთი ნაწილი მე შესაძლებლობა მქონდა მენახა. ისინი ჩინებული მებრძოლები არიან“ (მქუხარე ტაში).

ჩერჩილმა სთქვა, რომ საფრანგეთში ამჟამად იმყოფება 2-დან 3 მილიონამდე ჯარისკაცი. ჩერჩილმა ჯეროვნად მიუზღო შეერთებულ შტატებს იმ დახმარებისთვის, რასაც ისინი უწევენ ევროპაში წარმოებულ ომს და იმ „დიდი ომისათვის“, რომელსაც ისინი წყნარ ოკეანეში ეწევიან, და განაცხადა: „პალატას ჭეშმარიტად შეუძლია ამეიალმოს ჩვენს მომე ერს, რომელმაც თავისი ძლიერებისა და დიდების მწვერვალს მიაღწია. მე მიხარია, რომ ჩვენც შევძელით შესაფერი წვლილი გაგვეღო“.

ბრძოლების 120 დღის შემდეგ ინგლისის ჯარები, რომლებმაც არხი გადალახეს, პირადი შემადგენლობის რაოდენობის მიხედვით ისე შეეფარდებიან ამერიკის ჯარებს, როგორც 2:3 და საფრანგეთში მებრძოლი დივიზიების რაოდენობის მიხედვით, როგორც 4:5,5. ზარალი თითქმის პროპორციულია ბრძოლების მონაწილე ჯარების რაოდენობისა. ინგლისელებმა დაახლოებით 90 ათასი კაცი დაპკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით, მაშინ როცა ამერიკელებმა, პეტჩის არმიის ჩათვლით, 145 ათასზე მეტი კაცი დაპკარგეს.

ჩერჩილმა ილაპარაკა ბირმის კამპანიის შესახებ და აღნიშნა, რომ იაპონელებმა 50-60 ათასი კაცი დაპკარგეს მოკლულთა სახით. განსაცვიფრებელი ფაქტია, რომ ბრძოლები, რომლებიც ადმირალმა მაუნტბეტენმა ჩაატარა, ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლებია ხმელეთზე, რომლებიც კი ოდესმე უწარმოებიათ იაპონის არმიების წინააღმდეგ.

ჩერჩილმა დაჰგმო ის ადამიანები, რომელთაც ბრძოლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ნაადრეევი იმედი აქვთ. შესაძლებელია ბრძოლების წარმოება დაგვჭირდეს კიდევ 1945 წლის რამდენიმე თვის განმავლობაში იმისათვის, რომ დამთავრდეს ომი. მიუხედავად ამისა, ჩერჩილმა დასძინა: „უდავოა, ჩვენ არ გვგონია, რომ გერმანიის წინააღმდეგ ომის დამთავრების თარიღი აუცილებლად იმ დრამდე უნდა გადადოს, სანამ უკანასკნელი ავიაჯაკი არ იქნება მოსპობილი თავის უკანასკნელ ბუნაგში“. შემდეგ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისს იმედი აქვს წყნარ ოკეანეში მოუყაროს თავი ისეთ ფლოტს, რომელიც თავის-თავად საკმარისი იქნება იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ ძირითადი ოპერაციების საწარმოებლად.

შესვენების შემდეგ ჩერჩილი გადავიდა საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაზე. მისი სიტყვით, გერმანიის წინააღმდეგ სამი დიდი სახელმწიფოს კავშირი არასოდეს არა ყოფილა უფრო მჭიდრო და უფრო ეფექტიანი. რუსეთს უფლება აქვს ინგლისის დახმარების იმედი იქონიოს პოლონეთის საზღვრებზე ტერიტორიული ცვლილების საკითხში. მხოლოდ რუსულ იარაღს შეეძლო გაეთავისუფლებინა პოლონეთი გერმანელთა უღლისაგან. გერმანიისაგან დაზარალებულ რუსებს უფლება აქვთ უშიშარი საზღვრები ჰქონდეთ და მეგობარი ერები ჰყავდეთ დასავლეთით. პოლონეთის პრემიერ-მინისტრი და მისი კოლეგები, შესაძლოა, მალე განაახლებენ მოლაპარაკებას მოსკოვში.

შემდეგ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ინგლისისა და ერების ბრიტანული თანამეგობრობისათვის ყველაზე უფრო სასიხარულოა საფრანგეთის განთავისუფლება. ჩერჩილის სიტყვით, იგი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ფრანგი ერი ოქროვ აღსდგებოდა და დიდებასა და ძლიერებას მიაღწევდა. უახლოეს მომავალში მას იმედი აქვს, საფრანგეთი თავის ადგილს დაიკავებს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოებში. ამჟამად ამ მიმართულებით მოლაპარაკება სწარმოებს.

ჩერჩილი შეეხო დუმბარტონ-ოქსის მოლაპარაკებას და განაცხადა, რომ, მისი აზრით, დამაკმაყოფილებელი შეთანხმება არ შეიძლება მიღწეულ იქნას, სანამ არ შესდგება სამი მთავრობის ხელმძღვანელთა კიდევ ერთი შეხვედრა, რომელსაც, თუ საჭირო იქნა, დასწრებიან საგარეო საქმეთა მინისტრები. ჩერჩილმა იმედი გამოსთქვა, რომ ეს შეხვედრა შესდგება წლის დამლევამდე. მთელი მსოფლიოს მომავალი, სთქვა ჩერჩილმა, დამოკიდებულია ამ სამი დიდი სახელმწიფოს გულითადს, ნდობითა და ურთიერთგაგებით აღსავსე თანამშრომლობაზე. რაც უნდა გადაწყდეს უახლოეს მომავალში, იგი უნდა განხილულ იქნას მხოლოდ როგორც წინასწარი მუშაობა მომავალი მსოფლიო ორგანიზაციის საბოლოო სახით შექმნის წინ.

ფაშისტური ფიპის ორგანიზაციების დაშლა ფინეთში

სტოკჰოლმი, 25 სექტემბერი (საკდესი). 24 სექტემბერს ფინეთის ცენტრალურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომლის თანახმად ფინეთის მთავრობამ გადაწყვეტილება გამოიტანა მთელი რიგი პროჰიტლერული (ფაშისტური ტიპის) ორგანიზაციების დაშლის შესახებ. ჯერჯერობით ცნობილია გადაწყვეტილება, რომლის თანახმად დაშლილია შემდეგი ორგანიზაციები: ეგრეთწოდებული პატრიოტული სახალხო მოძრაობის პარტია (იკლ), კარელიის აკადემიური კავშირი, ფინეთის ნაციონალური პარტია, სს-ელთა თანამებრძოლების კავშირი („ასეველი“), ნაციონალური ჟურნალისტების კავშირი და ნაციონალური სოციალისტების კავშირი.

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-საველეტერინარო ინსტიტუტში 1944-45 სასწავლო წლისათვის ჩარიცხულთა სია

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე

აბუთიძე ი. ა., ალადაშვილი ე. ა., [illegible] დრიასოვა ნ. გ., აბგაროვა დ. გ., არარატოვა ე. გ., აღნიაშვილი ნ. ა., ახვლედიანი ნ. ვ., აჯიმამუდოვა ე. ნ., ივანოვი ი. ი., ახვლედიანი ც. ლ., აკოფოვა ფ. გ., აზმიფაროვა ლ. რ. ი., ავრამოვი დ. ი., ბურჭულაძე ვ. ვ., ბუთიკაშვილი რ. ი., ბუბუტეიშვილი ვ. ვ., ბუჩაშვილი ე. ი., ბარბაქაძე ნ. ნ., ბრეგვაძე რ. ა., ბაბალოვი მ. ს., ბედუკიძე ნ. ნ., ბარქაია ნ. პ., ბეიტრიშვილი ლ. დ., ბაკრაძე ნ. კ., გულუფოღლი უ. დ., გოდერძიშვილი გ. ი., გზირიშვილი პ. პ., გამდლიშვილი ნ. ი., გორგაძე მ. კ., გრძელიძე ც. ვ., გოგიჩაიშვილი ნ. დ., გაბელია ს. ა., გოგიჩაიშვილი კ. პ., გიორგანაშვილი ნ. ა., გეთაშვილი შ. ნ., დავიდოვი კ. ე., დემეტრაშვილი ვ. ვ., დვალი ე. კ., დადუნაშვილი ვ. ლ., დოლიძე ლ. ი., დანელიოვი ს. ა., ეგნასოვა მ. ვ., ელერდაშვილი ც. ს., ერისთავი დ. ლ., ვარდანიძე ო. დ., ვართანოვი ლ. დ., ვაჩეიშვილი რ. ე., ზარაფიშვილი რ. ს., ზალდასტანიშვილი ლ. ნ., თამაზოვი მ. გ., კაკულია ო. ა., კავთუაშვილი პ. ვ., კვანტალიანი ქ. ს., კობახიძე ნ. ა., ლომიძე მ. დ., ლეკაკა ქ. ვ., ლაბარტყავა ი. ვ., მერაბიშვილი ა. ი., მენეთესაშვილი თ. ა., მეგრელიძე მ. ლ., მაისურაძე თ. კ., მირიანაშვილი თ. მ., მჭედლიშვილი თ. გ., მღებრიშვილი ს. ი., მჭედლიძე რ. ზ., მგელაძე ლ. მ., მერაბიშვილი ვ. გ., მაღრაძე ლ. კ., მოსეშვილი ლ. ი., ნარიმანიძე ვ. გ., ოკოშვილი ე. ი., პანიეკა ქ. ა., პოლონიკაშვილი ნ. შ., პეტრუშაკი ე. ნ., სალინაძე ბ. გ., სარდლიშვილი ე. ზ., სალაყაია თ. ი., სარდალიშვილი ე. გ., სალაყაია ბ. ი., სულთანიშვილი ე. ი., ფირანიშვილი ი. გ., ფიჩხაძე რ. მ., ქორიძე ვ. ნ., ქარსელაძე ზ. ს., ქავთარაძე კ. ა., ქიტუაშვილი ე. მ., ქიტუაშვილი თ. ქ., ლუკასოვა ე. ს., ყორბესაშვილი თ. ა., ყავრელაშვილი თ. თ., შეყილაძე ა. ვ., ჩიტაძე ე. დ., ჩხაიძე ნ. ს., ჩეკურიშვილი ნ. ს., ციხელაშვილი ლ. ა., ციხისელი ე. ზ., ჭირაქაძე ნ. ლ., ხატიაშვილი ც. ე., ხერხეულიძე ა. ა. ჯაფარიძე დ. ი., ჯაველიძე ქ. ი.

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარო ინსტიტუტის დირექტორი
დოცენტი ნ. ცომაია

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე

აბულაძე ი. პ., ამაზანაშვილი ე. ა., აბესაძე თ. ა., ანჩიბაია ნ. ე., ადამია მ. ი., ბუიღლიშვილი გ. კ., ბალიაშვილი ნ. ს., ბოკორიშვილი კ. ო., გაგნიძე ა. ი., გეგენავა ქ. გ., გიორგობიანი ჟ. ტ., ვუნაძე ე. ზ., გვილავა ა. ვ., გვასალია ლ. ტ., დავიდოვა თ. ა., დევნოსაძე ფ. ა., ბერიძე ე. ვ., დავითულიანი ე. ა., დეკანოზიშვილი თ. ნ., ვარანაძე თ. ს., თოხაძე ნ. გ., თელია რ. ს., თოთაბაძე თ. ნ., თანდილაშვილი თ. ა., თევზაია რ. გ., თოფურიძე ზ. გ., გოხუა თ. ვ., იაღუთიანი ე. კ., იაშვილი უ. რ., კოხრეიძე ლ. გ., კალანდაძე ფ. ი., კვარაცხელია მ. ბ., კვერნაძე კ. ბ., კოკაია ვ. ი., კოკილაშვილი თ. ს., კახიანი ს. კ., კალნდაძე ე. პ., კუბლაშვილი კ. ვ., კვანჭახიძე ვ. ს., კობახიძე თ ვ., კობახიძე თ. ა., ლაფაური ქ. ზ., ლორთქიფანიძე დ. კ., ლოლაშვილი რ. დ., ლეგაშვილი ნ. გ., ლომიძე ს. ი., ლაზიაშვილი მ. ქ., მოსეშვილი ლ. ი., მაღლაკელიძე გ. ლ., მარსაგიშვილი მ. ვ., მწყურაძე ი. შ., ტურიაშვილი-მაღლაკელიძე ნ. გ., მარსაგიშვილი ნ. ნ., ჭვედლიანი ც. რ., მაღლაკელიძე ა. ი., მერაბიშვილი ვ. ა., ნაცვლიშვილი შ. ე., ნაღებაშვილი ს. ი., ნაზღაიძე ქ. ა., ნადირაშვილი გ. დ., ორთოიძე ქ. დ., ოქრომჭედლიშვილი წ. მ., პეტკოვსკაია ე. მ., სიხარულიძე ე. ქ., საგუმიან ა. ვ., სუჯაშვილი ვ. ა., სრესელი ნ. მ., ტაკიძე კ. შ., ტუხაშვილი ე. გ., ტყ